

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი #12

ქ. ონი

22. 11. 2018 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, სონია გუგეშაშვილი, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვანო ბალაშვილი, დავით სხირტლაძე, ღვთისაფარ ბაკურაძე, ვლადიმერ ბერელიძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მეტრეველი, გიორგი სულაძე, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი, გიორგი მაისურაძე, ბესიკი მაისურაძე, გელა მეტრეველი, აველ ორდინიძე, როზა ჩალაძე.

არ ესწრებოდა 10 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ანა ბაქრაძე, დავით მეტრეველი, დიმიტრი გოშაძე, კესო ჩარკვიანი, შორენა რეხვიაშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ბექარი მაისურაძე, ირმა სტეფანაძე-იაშვილი, ალექსანდრე ბერიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე მერაბ ორდინიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი კობა მეტრეველი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი ირმა მაისურაძე.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს წევრებზე გაცნობის შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

3. „ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის # 39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების
უფროსი სპეციალისტი/

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის“ (ს/კ 437977469/ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს. ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების
უფროსი სპეციალისტი/

5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის ინფორმაცია 2018 წელს საშეშე და სამასალე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

/მომხს. ვ. ბალაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს 1. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს დეპუტატებზე გაცნობის შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერიის პირველი მოადგილე/

მომხსენებელმა, მ. ორდინიძემ, პუნქტობრივად გააცნო საკრებულოს წევრებს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი. აზრი გამოთქვეს: მ. ყავლაშვილმა აღნიშნა, რომ სოფ. შეუბანში მოსაგვარებელია სასმელი წყლისა და გზის პრობლემა, სოფ. ჭალაში რეაბილიტაციას საჭიროებს გზა და სოფელში არსებული ხიდები, მსგავსი პრობლემებია თემის თითქმის ყველა სოფელში, რის შესახებაც, როგორც მან აღნიშნა ინფორმაცია წერილობით მიაწოდა მერიას, თუმცა შეუბნის თემის პრობლემები ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის.

ჭ. კერვალიშვილმა განაცხადა, რომ მიუხედავად სოფ. სორში არსებული უამრავი პრობლემისა, რომელთა შესახებაც ინფორმაცია წერილობით მიაწოდა მერიას ბიუჯეტის დაგეგმარებისას, სორი წარმოდგენილ პროექტში საერთოდ არაა ნახსენები. ვ. ბერელიძემ ისაუბრა სოფ.

მაუიეთსა და ბორცოში გარე განათების აუცილებლობაზე, დ. სხირტლაძემ დასვა სოფ. მრავალძლის გარე განათების, ხოლო გ. სულაძემ სოფ. ფარახეთში სასმელი წყლის რეაბილიტაციის საკითხი.

მ. ორდინიძემ საკრებულოს მაჟორიტარ წევრებს უპასუხა, რომ მათ მიერ დაყენებული საკითხები ბიუჯეტის დაზუსტებისას გათვალისწინებული იქნება შესაძლებლობის ფარგლებში.

გ. მეტრეველმა ისაუბრა საკრებულოს წევრებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების თანხის 250 ლარის გაზრდის აუცილებლობაზე, მით უმეტეს, რომ სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ონის მუნიციპალიტეტში ეს თანხა ყველაზე დაბალია და სასურველია გაუთანაბრდეს თუნდაც მეზობელ მუნიციპალიტეტებში არსებულ თანხას. საკრებულოს უხელფასო წევრებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების თანხის გაზრდის აუცილებლობაზე ისაუბრეს გ. მეტრეველმა, ვ. მეტრეველმა, ს. გუგეშაშვილმა, ს. ლობჯანიძემ. მ. ორდინიძემ განაცხადა, რომ მომავალ 2019 წელს აღნიშნული თანხის გაზრდა არ მოხდება.

ს. ლობჯანიძემ ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის დაგეგმარებისას არ ხდება საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების ჩართულობა და მათთან ბიუჯეტის შეჯერება და შეთანხმება, რაც აუცილებლად სამომავლოდ უნდა იქნას გათვალისწინებული. თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ბიუჯეტის პროექტი მისაღებია და მხარს უჭერს.

ს. გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ფორმირებისას არ ხდება საკრებულოს წევრების ჩართულობა და მათ მიერ აღნიშნული პრიორიტეტების გათვალისწინება, მოშლილია კომუნიკაცია მერიასა და საკრებულოს შორის, ბიუჯეტი ტექნიკურად შეიძლება გამართულია, მაგრამ არ უსახობს იმ გამონწვევებს, რის წინაშეც დგას მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. ასევე, მისი თქმით, საკრებულოს აპარატი, იმ დაბალი ანაზღაურების ფონზე, რაც მათ აქვთ, იმსახურებს წელიწადში ერთ ანაზღაურებად წახალისებას მაინც და ეს არ იქნება დარღვევა.

ვ. მეტრეველმა ისაუბრა ფრაქციის სხდომაზე ფრაქციის წევრების მიერ ბიუჯეტთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებზე .

გადაწყდა: მოხდეს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის დაბრუნება მერიის შესაბამის სამსახურში ფრაქციის სხდომაზე ფრაქციის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნებით. (შენიშვნები თან ერთვის)

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების გაცნობის შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი

შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ საჭიროა საკითხი განხილული იქნას ბიუჯეტთან ერთად.

გადაწყდა: გადაიღოს საკითხი-ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: 3. „ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის # 39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების

უფროსი სპეციალისტი/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის # 39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 4. არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის“ (ს/კ 437977469/ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს. ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების

უფროსი სპეციალისტი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის“ (ს/კ 437977469/ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის ინფორმაცია 2018 წელს საშეშე და სამასალე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

/მომხს. ვ. ბალაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სსიპ ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს მიერ მონოდებული ინფორმაცია 2018 წელს საშეშე და სამასალე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია 2018 წელს საშეშე და სამასალე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამონურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

